

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო, მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და საზოგადოების სწორი ინფორმირებულობის პრინციპიდან გამომდინარე, ავრცელებს თეთრიწყაროს რაიონული მოსამართლის ვლადიმერ ხუჭუას მიერ 2026 წლის 4 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილების გარკვეულ ნაწილს (შეფასება და დასკვნა), რათა საზოგადოებას ჰქონდეს შესაძლებლობა, პერსონალური მონაცემების დაფარვით, გაეცნოს სასამართლოს მიერ გამოყენებულ სამართლებრივ არგუმენტაციას სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადების (კომენტარი) გამო, პირის სამართალდამრღვევად ცნობასთან დაკავშირებით.

„საქმის მასალებისა და სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციების შესწავლის შედეგად სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ს.-ს მხრიდან სახეზე არ არის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წვრილმანი ხულიგნობა – საჯარო სივრცეში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან/და მოქალაქეთა სიმშვიდეს, – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 3 000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 20 დღემდე ვადით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, აღნიშნული კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

ამავე კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით.

ამავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად კი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმოფიქრობის, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახვი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება

ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორგანო, (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართალდარღვევის მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მწარმოებელ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანო (თანამდებობის პირი), რომელიც კანონითა და მართლშეგნებით ხელმძღვანელობს, მტკიცებულებას აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება საქმის ყველა გარემოების ერთობლივ, ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პასუხისმგებლობაში მიცემული პირის სასარგებლოდ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანებია: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა, მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩადენილია და შესაბამისად არსებობს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, თუ სახეზე იქნება შემდეგი პირობები: 1. კანონით გათვალისწინებული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა; 2. ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო; 3. ქმედების ჩადენა მოხდა ბრალეულად (განზრახ ან გაუფრთხილებლობით); 4. არსებობს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. აღნიშნულთაგან ერთ-ერთი პირობის არარსებობა, გამორიცხავს სამართალდარღვევას.

სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში სხვასთან ერთად აღინიშნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი. წარმოდგენილ სამართალდარღვევის ოქმში საერთოდ არ არის მითითებული სამართალდარღვევის ჩადენის რაიმე ადგილი. მოცემულ საკითხზე სასამართლო მოკლედ მიუთითებს, რომ ვერ

გაიზიარებს ოქმის შემდგენელის წარმომადგენლის პოზიციას, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია სოციალური ქსელი. ამასთან, სადავოდ არ არის გამხდარი ის გარემოება, რომ მ.ს. იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ 2025 წლის აპრილიდან.

მოცემული საქმის განხილვისას, სასამართლო პირველ რიგში ყურადღებას მიაპყრობს იმას, თუ რა სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცებულებათა შეფასებისას, რათა დადგეს სამართლიანი და კანონიერი სამართლებრივი შედეგი.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

სასამართლო სრულიად იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას (Sergey Zolotukhin vs. Russia) იმასთან დაკავშირებით, რომ გარკვეული ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი უმართლობები, რომელიც თავისი ბუნებით, ხასიათით და შინაარსით პრაქტიკულად წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებს (აქვე გასათვალისწინებელია მიყენებული ზიანი და სხვა). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საკითხის გადასაწყვეტად, თუ რომელ წარმოებას შეიძლება მიეკუთვნოს საქმე (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის წარმოებას თუ სისხლისსამართლებრივ წარმოებას) ეროვნული სამართლით განსაზღვრულ კლასიფიკაციასთან ერთად გადამწყვეტ მნიშვნელონას ანიჭებს ქმედებისთვის განსაზღვრული სანქციის (სასჯელის) ზედა, მაქსიმალურ ზღვარს და მიიჩნევს, რომ ხანგრძლივი პატიმრობის (15 დღე ან მეტი) გამოყენების შესაძლებლობა საკმარისია (სხვა კრიტერიუმებთან ერთად), რათა საქმე მიეკუთვნოს სისხლის სამართლებრივ კატეგორიას.

უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (Matchavariani vs. Georgia) მიიჩნევს, რომ თუ პირს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით აკრძალული ქმედებისთვის დაეკისრა მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმა, მაშინ როდესაც შესაძლო იყო დაკისრებოდა ხანგრძლივი ადმინისტრაციული პატიმრობაც, ეს შემთხვევაც უნდა განიხილებოდეს სისხლის სამართლის სამართალწარმოებად, თუნდაც საქმე ქართულ კანონმდებლობაში კლასიფიცირდებოდეს როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმეებზე

მტკიცებულებების შეფასების თვალსაზრისით. სასამართლო თვლის, რომ მოცემული საქმის ფარგლებში მტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უდანაშაულობის პრეზუმფციიდან და ეჭვის ავტომატურად ბრალდებულის (სამართალდარღვევის) სასარგებლოდ გადაწყვეტიდან (In dubio pro reo) გამომდინარე.

ასევე სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებათა მაღალი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“ (beyond reasonable doubt). აღნიშნული სტანდარტის მტკიცებულებების წარმოდგენის აუცილებლობას განსაზღვრავს განსახილველი საკითხი, როდესაც პრაქტიკულად იხილება სისხლის სამართლის ბრალდების ბუნების საქმე, რადგან არსებობს საფრთხე პირს განესაზღვროს ხანგრძლივი პატიმრობა (20 დღემდე) ან მაღალი ჯარიმა (500 ლარიდან 3 000 ლარამდე).

სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს ასევე იმ გარემოებას, რომ საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არსებულ გარკვეულ სისხლის სამართლის საქმეებში, მათ შორის, ძალადობრივ დანაშაულებზე, სასჯელის სახედ და ზომად დგინდება ჯარიმა 1000-2000 ლარის ოდენობით და მსაჯვრდებული პირი საქმის წარმოების არცერთ ეტაპზე არ არის პატიმარი. ზემოაღნიშნული ხშირად იკვეთება სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემთხვევებში. ამდენად, ცხადია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანქცია (სამართალდამრღვევისთვის მოსალოდნელი სასჯელი) პრაქტიკულად უტოლდება და ხშირად აჭარბებს კიდევ რიგ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოყენებულ სანქციებს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ სამართალდარღვევის საქმეებზე შეუძლებელია მხარეები შეთანხმდნენ და გააფორმონ საპროცესო შეთანხმება.

სასამართლო ასევე იზიარებს საერთო სასამართლოების დადგენილ პრაქტიკას და განმარტებებს, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული ანუ მტკიცებულებებს შორის უნდა არსებობდეს შინაარსობრივი კავშირი, უნდა იყოს აშკარა და უნდა ადასტურებდნენ რაიმე ფაქტს ან გარემოებას და მათში ეჭვის შეტანის გონივრული საფუძველი არ უნდა არსებობდეს. მტკიცებულებათა ერთობლიობა პირდაპირ და ცალსახად უნდა ადგენდეს ფაქტებს და პირის ბრალეულობას, სწორედ ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, მოტივს, მიზანს, განზრახვას და ა.შ. გარდა ამისა, მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს დამაჯერებელი ანუ ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და უტყუარი, ობიექტურად ნეიტრალური პირისათვის, რათა დარწმუნდეს სწორედ ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში. დამაჯერებლობის ხარისხი იმდენად მაღალი უნდა იყოს, რომ რაიმე გონივრულ ეჭვს ან ვარაუდს არ უნდა იწვევდეს. მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს და ადასტურებს გარკვეულ ფაქტებსა და გარემოებებს, არ უნდა ბადებდეს ისეთ კითხვებს, რომლებიც ფაქტობრივ გარემოებებს ეჭვქვეშ დააყენებს და გონივრულ კითხვებს გააჩენს ამის საწინააღმდეგოდ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს (Tanışand Others vs. Turkey) განმარტებით: „წერილობითი და ზეპირი მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლო ითვალისწინებს უკვე დადგენილ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს. მსგავსი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ საკმარისად ძლიერი, აშკარა და შეთანხმებული დასკვნებიდან, ან მსგავსი უდავო ფაქტების ვარაუდიდან”.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ არ დგინდება მ.ს.-ს მიერ სამართადარღვევის ჩადენა, ვინაიდან არ წარმოდგენილა მტკიცებულება, რომელიც დადასტურებოდა კანონით დადგენილი წესით. საქმეში საერთოდ არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება (ინფორმაცია) იმის შესახებ, რომ სოციალურ ქსელ „facebook“-ში „M. S.“-ს სახელწოდების პროფილი ეკუთვნის მ. ს.-ს. არ არსებობს რაიმე მონაცემი ან ინფორმაცია, იმის შესახებ მან შექმნა თუ არა პროფილი (გვერდი). ასევე არ არსებობს რაიმე მონაცემი ან ინფორმაცია, იმის შესახებ თუ ვინ ფლობს და სარგებლობს პროფილით, უშუალოდ ვინ და სად დაწერა კონკრეტული კომენტარი. არ არის წარმოდგენილი რაიმე მონაცემი ან ინფორმაცია შესაბამისი ინტერნეტ პროვაიდერიდან ან სოციალური ქსელიდან. არ არის წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა რომელიმე ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულზე რაიმე მტკიცებულების ან ინფორმაციის წარმოდგენა არც სასამართლო სხდომაზე მომხდარა.

სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამგვარი მიდგომა და საქმის წარმოება არ შეესაბამება ადამიანის უფლებების კანონიერ დაცვას. სასამართლო სხდომაზე არ ყოფილა წარმოდგენილი ინფორმაცია ან არგუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა, რომ სოციალურ ქსელ „facebook“-ში შეუძლებელია პროფილის შექმნა სხვა პირის სახელით, გვარით და ფოტოსურათ(ებ)ით. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია ნებისმიერმა პირმა შექმნას ნებისმიერი პირის სახელზე პროფილი და ატვირთოს სურათები, შეუძლებელია სასამართლომ მხოლოდ ამ სურათის „ამოცნობით“ დაადგინოს სამართალდარღვევის ფაქტი. არავინაა ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. კანონის ძალით მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოა ვალდებული წარმოადგინოს უტყუარი მტკიცებულებები.

თუ დავუშვებთ თუნდაც გონივრული ეჭვით, რომ პროფილი ეკუთვნის კონკრეტულ პირს, ამ შემთხვევაშიც უნდა დადასტურდეს, რომ უშუალოდ მან შეასრულა მოქმედება (კომენტარის დაწერა ან სხვა). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედი ნორმებით და კანონმდებლობით ამ შემთხვევაშიც (სოციალურ ქსელში კომენტარის დაწერა) უნდა დადასტურდეს

კონკრეტული პირის ვინაობა, რათა პირს უტყუარად დაუდასტურდეს ქმედების მის მიერ ჩადენა, მიუხედავად იმისა, ვის ეკუთვნის პროფილი, ვინ სარგებლობს პროფილით და ა.შ.

პირს გააჩნია კონსტიტუციური უფლება საერთოდ არ უპასუხოს ბრალდებას, არ წარადგინოს პოზიცია, არ გამოცხადდეს სასამართლოში. სასამართლოში საქმის წარმოებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს მაღალი სტანდარტის მტკიცებულებები, რათა სასამართლომ უტყუარად დაადგინოს პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა. სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მოცემული საქმის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება და არც სხვა მტკიცებულება (ინფორმაცია), რომელიც დაადასტურებდა მ.ს.-ს მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. აქვე სასამართლო თვლის, რომ მოცემულ საქმეზე სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის გარეშე შესაძლებელია.

სასამართლო მოიხმობს ასევე უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტებას (2021 წლის 21 იანვრის №ბს-1240(2კ-19) განჩინება), რომლის თანახმად, „დაუშვებელია პირის ბრალის გარეშე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არის ფიზიკური ან იურიდიული პირის ბრალეული ქმედება.“ ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლო ასევე ასკვნის, რომ არ არსებობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ბრალეული მოქმედების/უმოქმედობის განხორციელების გარეშე. ამდენად, მოცემულ საქმეზე შეუძლებელია დადგინდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, თუ ეჭვსგარეშე არ დამტკიცდება მ. ს.-ს მხრიდან ბრალეული ქმედების განხორციელება ანუ თუ უტყუარად არ დასტურდება უშუალოდ მ. ს.-ს მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის პოზიცია ძირითადად ეფუძნებოდა 2026 წლის 30 ივნისის ოქმს სავარაუდო სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირების თაობაზე. ოქმის შემდგენელმა წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სავარაუდო სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირების მიზნით სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ატვირთა „M.S.“-ს გვერდზე განთავსებული ფოტო მასალა, რის შედეგად ამოცნობილ იქნა მ. ს.-ს.

აღნიშნულზე სასამართლო მიუთითებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალდამრღვევის იდენტიფიცირების მიზნით შეიძლება განხორციელდეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის ღონისძიებები, მათ შორის, მის შესახებ მონაცემები გადამოწმდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბაზებსა და სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით, რომელიც შესულია საპოლიციო ღონისძიებების თავში, პირის იდენტიფიკაციას უკავშირებს ამავე კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. ხოლო „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიციელი უფლებამოსილია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაადგინოს პირის ვინაობა ღიად და უშუალოდ ამ პირისაგან, რისთვისაც შეუძლია შეაჩეროს იგი, გამოჰკითხოთ პერსონალური მონაცემები და მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა ...

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პოლიცია უფლებამოსილია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოახდინოს პირის იდენტიფიკაცია, თუ პირის ვინაობის დადგენა იმავე პუნქტით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელებით შეუძლებელია ან განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ან არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირის მიერ მიწოდებული მონაცემები ან/და პირადობის დამადასტურებელი საბუთები არ ასახავს მის ვინაობას, და პირის იდენტიფიკაცია საჭიროა სამართალდარღვევის პრევენციისთვის, ან არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ამ პირს პირდაპირი კავშირი აქვს ჩადენილ სამართალდარღვევასთან.

შესაბამისად, სასამართლოსთვის გაუგებარია სავარაუდო სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირების თაობაზე ოქმის შედგენის სამართლებრივი საფუძველი, რადგან ზემოაღნიშნული კანონისმიერი დანაწესი ითვალისწინებს იდენტიფიკაციის ღონისძიებებს მხოლოდ ღიად და უშუალოდ, პირის შეჩერების, გამოკითხვის და პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენის მოთხოვნის გზით. ამასვე ადასტურებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, პირის იდენტიფიკაციის ღონისძიებებია: ა) თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღება; ბ) ფოტოსურათის გადაღება; გ) დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნების დაფიქსირება; დ) სიმაღლის გაზომვა; ე) ხმის ჩაწერა; ვ) მონაცემების სამინისტროს საინფორმაციო ბაზებში გადამოწმება; ზ) სხვა ბიომეტრიული მონაცემების დაფიქსირება. ასევე ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირის იდენტიფიკაციის ღონისძიების განხორციელებამდე ამ პირს უნდა მიეცეს საშუალება, გონივრულ ვადაში ნებაყოფლობით დაამტკიცოს თავისი ვინაობა.

შესაბამისად, პოლიციელი ვალდებულია იდენტიფიკაციის ღონისძიებები განახორციელოს მხოლოდ ღიად და უშუალოდ.

ცხადია სასამართლო არ მსჯელობს იმაზე, შეუძლია თუ არა პოლიციელს პირის ფოტოსურათით მოახდინოს მისი თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღება ან ხმის ჩაწერა.

ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეზე ძირითად მტკიცებულებად წარმოდგენილი სავარაუდო სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირების თაობაზე ოქმის სამართლებრივი საფუძველი გაურკვეველი და ბუნდოვანია. სასამართლო არ განავრცობს მსჯელობას ოქმში მითითებულ ამოცნობასთან დაკავშირებით, რომლის გარემოებები (მეთოდი, საფუძველი და სხვა) საერთოდ ვერ ირკვევა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ საკითხებზე სასამართლო სხდომაზეც არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება ან შესაბამისი სამართლებრივი არგუმენტაცია. (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი)

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტზე, მ.ს.-ს მიმართ“.